



162-01-4-201408271735



**საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის  
ბ რ ძ ე ნ ე ბ ა**

№ 01-162; 27/08/2014

ქ. თბილისი

**„საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის საქმისწარმოების ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 2012 წლის 2 მარტის N59 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ.**

„საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 16 ნოემბრის N206 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:**

**მუხლი 1.** „საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საქმისწარმოების ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 2012 წლის 2 მარტის N59 ბრძანებით დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება:

1. პირველი მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. საგარეო საქმეთა სამინისტროს სისტემაში საქმისწარმოება ხორციელდება „სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემის მინიმალური სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 21 თებერვლის N64 დადგენილების მე-2 მუხლის თანახმად „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ საფინანსო ანალიტიკური სამსახურის“ ამავე დადგენილებით დამტკიცებული „სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემის მინიმალური სტანდარტის“ შესაბამისი პროგრამით სახელწოდებით “eDocument” (შემდგომში - პროგრამა), აგრეთვე საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ შემუშავებული „საკონსულო საქმიანობის მართვის ელექტრონული სისტემის“ (შემდგომში - სსმეს პროგრამა)

მეშვეობით.“.

2. პირველ მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-11 პუნქტი:

„11. სსმეს პროგრამაში შეიძლება დარეგისტრირდეს საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების, საკონსულო დაწესებულებების, საქართველოს ინტერესების სექციის და საკონსულო დეპარტამენტს შორის არსებული შუალედური მიმოწერა, აგრეთვე, შესაბამისი საქმისწარმოებისთვის აუცილებელი, სხვა სახელმწიფო უწყებებში გაგზავნილი კორესპონდენცია. დოკუმენტები, რომლებიც რეგისტრირდება სსმეს პროგრამაში, არ არის სავალდებულო გატარდეს პროგრამაში.“.


3. მე-10 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. სამინისტროს საქმისწარმოების ავტომატიზებულ სისტემაში შესვლა წარმოებს მხოლოდ სამსახურებრივი კომპიუტერიდან ვებ-ბროუზერის საშუალებით შემდეგ ვებ გვერდზე <http://eDocument.mfa.ge/app> პირადი სააუთენტიფიკაციო საშუალებების გამოყენებით ავტორიზაციის გავლის შემდეგ, ხოლო სსმეს პროგრამაში შესვლა ხორციელდება შემდეგ ვებ გვერდზე <https://www.geoconsul.gov.ge:8082/>, პირადი სააუთენტიფიკაციო საშუალებების გამოყენებით ავტორიზაციის გავლის შემდეგ.

**მუხლი 2.** ეს ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

**საფუძველი:** საკონსულო დეპარტამენტის დირექტორის გიორგი ტაბატაძის 2014 წლის 26 აგვისტოს N42953-01 მოხსენებითი ბარათი.

დავით ზალკალიანი



მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი